III კვარტალი, 2022

# ეკონომიკური ზრდის ტემპის პროგნოზი

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2022 წ.

**პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2022 წლის III კვარტალში რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი დადებითი იქნება და 7.9% დაფიქსირდება.** მშპ-ის მოსალოდნელი ზრდა 2022 წლის მესამე კვარტალში განპირობებულია წინა წელს დაწყებული გაუმჯობესებული ეკონომიკური მდგომარეობის შენარჩუნებით, მიუხედავად იმისა, რომ 2021 წლის მესამე კვარტალში ეკონომიკის ზრდის საბაზისო ეფექტი მაღალი იყო (2021 წლის მესამე კვარტალში ეკონომიკა გაიზარდა 9.1%-ით). უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპი შენარჩუნდა 2022 წლის II კვარტალში. კერძოდ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემებით 2022 წლის II კვარტალში საშუალო რეალური ზრდა 7.2%-ით განისაზღვრა.

საბიუჯეტო ოფისის 2022 წლის მესამე კვარტლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი ემყარება დაშვებებს, რომ 2021 წლის მესამე კვარტალთან შედარებით:

- ტურიზმის **მოცულობა დაახლოებით 2.5-ჯერ გაიზრდება** (2019 წლის მესამე კვარტლის პანდემიამდელ მაჩვენებელთან შედარებით დაახლოებით 1.5-ჯერ ნაკლები). ამავე დროს **გაიზრდება ქვეყნიდან გასული ვიზიტორების რიცხოვნობაც**.
- ტურიზმის ექსპორტის მნიშვნელოვან ზრდასთან ერთად **კვლავ შენარჩუნდება** შიდა ტურიზმის აქტივობა.
- **გაიზრდება როგორც კერძო მოხმარების, ისე ინვესტიციების მოცულობა,** რაც განაპირობებს მთლიანი მოხმარების და ინვესტიციების ზრდას და ეკონომიკური აქტივობის აღნიშნულ დადებით ტემპს.




*პროგნოზის ინტერვალი აღნიშნავს დიაპაზონს, რომელშიც მშპ-ის ზრდის ტემპი იქნება მოცემული. ინტერვალის შეფასება მიღებულია ცენტრალური პროგნოზისა და გასული წლების კვარტალური ეკონომიკური ზრდებიდან ±0.5 სტანდარტული გადახრის ჯამით.

- მომსახურებით ვაჭრობის მკვეთრი ზრდის პარალელურად, მოსალოდნელია საქონლით ვაჭრობის მნიშვნელოვანი ზრდაც.
- მთავრობის საინვესტიციო აქტივობების ზრდასთან ერთად, გაზრდილი მოხმარების და კერძო ინვესტიციების პარალელურად მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვნად **გაიზრდება საქონლის იმპორტის რაოდენობაც**.
- გლობალური ეკონომიკის გაჯანსაღების ფონზე მოსალოდნელია, რომ გაიზრდება ექსპორტზე მოთხოვნა და შესაბამისად, **გაიზრდება საქონლის ექსპორტის მოცულობაც.**

**აღნიშნული დაშვებების რაოდენობრივი შეფასების შედეგად მოსალოდნელია**, რომ 2022 წლის მესამე კვარტალში იმპორტის მოცულობა უფრო მეტად გაიზრდება, ვიდრე ექსპორტი და წმინდა ექსპორტის კომპონენტი -0.3%-ული პუნქტით განსაზღვრავს ეკონომიკური აქტივობის ცვლილებას, ხოლო აბსორბციის (მოხმარების და ინვესტიციების ჯამი) კომპონენტი მნიშვნელოვნად გაიზრდება და მშპ-ის ცვლილებას 8.2%-ული პუნქტით განაპირობებს*. საბიუჯეტო ოფისის მიხედვით, 2022 წლის მეორე კვარტლის ეკონომიკური ზრდის შეფასებაში წმინდა ექსპორტი 0.8%-ული პუნქტით, ხოლო აბსორბციის კომპონენტი 6.3%-ული პუნქტით განისაზღვრა.




*2022 წლის III კვარტლის მშპ-ის ზრდის დეკომპოზიცია. საბიუჯეტო ოფისის შეფასება.

**დამატებითი ინფორმაცია:**

[წლიური მაკროეკონომიკური პროგნოზები]

[განმარტება მაკროეკონომიკური პროგნოზების მოდელის შესახებ]